თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები"-ს სხდომის

ო ქ მ ი № 3

ქ. თელავი 7 მარტი **2019** წელი

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები''-ს

თავმჯდომარე - **გიორგი ჩაბრაშვილი**

**სხდომას ესწრებოდნენ** ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: **გიგა მამუკელაშვილი,** ფრაქციის წევრი: **გოჩა წაწალაშვილი.**

## დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე.

**მომხს. გ. ჩაბრაშვილი**

2. ქ. თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცირე ზომის სანაგვე ურნების განთავსების შესახებ.

**მომხს. გ. მამუკელაშვილი**

**მოისმინეს:** 1. თელავის მუნიციპალიტეტში 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე

**მომხს. გ. ჩაბრაშვილი**

**აზრი გამოთქვეს:** გიორგი ჩაბრაშვილმა ფრაქციის წევრებს წარუდგინა მერიის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც გამოწვეულია მთავრობის ადმინისტრაციიდან მოსული რეკომენდაციის საფუძველზე და ითვალისწინებს სოციალური პროგრამის გაუქმებას „საწარმოო ტრამვის შედეგად დაშავებულ პირთა დახმარების პროგრამა", რადგან აღნიშნული პროგრამის დაფინანსება არ არის თვითმმართველობის კომპეტენცია. აღნიშნულ პროგრამაზე გამოყოფილი თანხა (4300 ლარი)-ით დაფინანსდეს ახალი სოციალური პროგრამა რომელიც ითვალისწინებს 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა ხელოვნური კვების პროდუქტებით დახმარებას. მას დაეთანხმნენ ფრაქციის სხვა წევრები.

**გადაწყვიტეს:** ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები" საკრებულოს სხდომაზე მხარსდაუჭერს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ პროექტს.

**მოისმინეს:** 2. ქ. თელავში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მცირე ზომის სანაგვე ურნების შესახებ.

**მომხს. გ. მამუკელაშვილი**

**აზრი გამოთქვეს:** გიგა მამუკელაშვილმა ფრაქციის წევრებს გააცნო მის მიერ ინიცირებული წინადადება. ჩოლოყაშვილის ქუჩა არის ვიწრო და დიდი ზომის სანაგვე ურნის განთავსება შეუძლებელია, ამასთან ერთად ამ ქუჩას სტუმრობს საკმაოდ ბევრი ტურისტი და სანაგვე ურნების არარსებობა ქმნის საკმაოდ დიდ დისკომფორტს. აქედან გამომდინარე კარგი იქნება თუ ამ ქუჩაზე განთავსდება მცირე ზომის სანაგვე ურნები, რომლებიც არც სამანქანე და არც საფეხმავლო მოძრაობას არ შეაფერხებს. მას მხარი დაუჭირეს ფრაქციის სხვა წევრებმა.

**გადაწყვიტეს:** ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები" მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ინიციატივის საკრებულოს სხდომაზე ინიცირებას.

ფრაქციის თავმჯდომარე: გ. ჩაბრაშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე: გ. მამუკელაშვილი

ფრაქციის წევრი: გ.წაწალაშვილი